ცნობის ფურცელი

№ 2136 სამშაბათი, 29 აპრილი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2136

გაზეთის ღირს: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

„ქართული დრამატიული საზოგადოების"
გამგეობა აცხადებს, რომ იგი ჰნიშნავს
ს ა მ ს პ რ ე მ ი ა ს
300 მან., **200** მან. და **100** მან.
ქართული დრამატიული ნაწარმოებთა დასაჯილდოებლად.
პრემიის პირობები შემდეგია:

1) საპრემიოდ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალი, დაუსტამბავი და სცენაზე დაუდგმელი.

2) პიესა უნდა შეიცავდეს სამს მოქმედებაზე არა ნაკლებს.

3) პიესა უნდა გამოიგზავნოს „ქართულ დრამატიულ საზოგადოების" გამგეობის სახელზე რაიმე დევიზის ზედ-წარწერით; პიესასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იქმნას დაბეჭდილი კონვერტი, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი.

შენიშვნა: კონვერტი გაიხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პიესა ცნობილი იქმნება პრემიის ღირსად.

4) პიესის საპრემიოდ წარმოდგენის ვადა თავდება **30** სექტემბერს **1903** წ.

5) „დრამატიულ საზოგადოების გამგეობას" ორის წლის განმავლობაში განსაკუთრებული უფლება აქვს პრემიით დაჯილდოვებულ პიესის წარმოდგენისა სცენაზე.

6) დაჯილდოვებულ პიესის ავტორს მიეცემა ჰონორარად თითოეულ წარმოდგენის მთელის შემოსავლის 5 პროცენტი.

7) შედეგი პიესების კონკურსისა გაზეთებში იქმნება გამოცხადებული. (10—5)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მ. ს. მუსხელიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დ ი ლ ი თ:

მ. ც. ჯაჯანიძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. დამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ს. ვ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათს $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

მ. ვ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ბრ. ვ. ხობოლევსკი—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. ვ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და [illegible] 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი ვ. დ. ნახარიძე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კოიკები—სამ მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ბაგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში.)
ტელეფონი № 274 (წლ.

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი
ივანე ზაალის ძე
ახალშენიშვილი
იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—3-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.
ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ე ქ ი მ ი
[illegible] ლ ა მ ბ ა შ ი ძ ე
იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

ე ქ ი მ ი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

სათავად-აზნაურო ბანკების კრების გამო

ხვალ, 30 აპრილს, დაიწყება ტფილისის სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება; მოკლე ხანში ამგვარივე კრება დაიწყება ქუთაისში.

ჩვენი სააღგილ-მამულო ბანკები საზოგადოებრივი დაწესებულებაა და ძირიანად განსხვავდებიან სხვა ამგვარ ბანკებისაგან: დიდი ნაწილი მათის წმინდა შემოსავლისა ხმარდება საზოგადო საჭიროებათ და ამიტომაცაა, რომ პრესსაც და ჩვენი საზოგადოებაც ყოველთვის ყურადღებას აქცევდა ჩვენებურ თავად-აზნაურთა ბანკებს და ახლაც დაინტერესებულია მათის ბედ-იღბლით. ტფილისის ბანკის საქმეები, მაგალითად, კარგად წავიდა და შესამჩნევი ფული გაღიღვა სხვა-და-სხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად; იმის გარდა, რომ ამ ფულით არსებობს მთელი გიმნაზია, რომელშიაც 600-მდე ახალგაზდობა სწავლობს, ბანკი ბევრ სხვა საქმესაც მიჰშველებია და ამასთანავე კარგა მოზრდილი თანხა აქვს შენახული სამეურნეო საჭიროებათა გასაძღოლად. ქუთაისის ბანკის საქმე ასე კარგად არ იყო, მაგრამ იქაც კეთდება შესამჩნევი საზოგადო საქმე.

ბოლო წლებში ორსავე ბანკს დასაფიქრებელი გარემოება გაუჩნდა: თუ არსებობის პირველ ხანაში ბანკები მარტოდ მუშაობდნენ და კონკურენტების არ ეშინოდათ, შემდეგში ეს ხელშემწყობი პირობა მოისპო: ტფილისს და შემდეგ ბაქოს დაარსდა საკრედიტო საზოგადოებანი, რომელთაც დიდი მეტოქეობა გაუწიეს სააღგილ-მამულო ბანკებს ქალაქებში უძრავ მამულების დაგირავების საქმეში; შემდეგ დაარსდა სახელმწიფო სააღგილ-მამულო ბანკის ამიერ-კავკასიის განყოფილება, რომელმაც ამგვარივე მეტოქეობა გაუწია ჩვენს ბანკებს სოფლად. ამის შემდეგ ჩვენ ბანკებს ძველებურად დინჯი და წყნარი მუშაობა აღარ არგებდა; საჭირო იყო დაფაცურება, სესხის გაცემის პირობათა გაუმჯობესება, იმათთან დაახლოება, ვისაც სესხი ესაჭიროება და სხვა. ყოყმანის შემდეგ ჩვენის ბანკების მმართველ ორგანოებმაც ხელი გამოიღეს და სხვა-და-სხვა გვარ ღონისძიებით გააცოცხლეს ბანკების მოღვაწეობა: გააიაფეს სესხის გატანის საქმე, დააარსეს სააგენტოები (ტფილისის ბანკმა—ბაქოში, ქუთაისისამ—ტფილისში) და სხვა.

თუ ჩვენმა ბანკებმა ამ გზით არ იარეს და უფრო არ გააძლიერეს მუშაობა, საშიშია, რომ ნიადაგი გაუსხლტებათ და თავის სიმპატიურ დანიშნულებას ვერ აასრულებენ. საბედნიეროდ, როგორც სჩანს, მმართველ ორგანოებს ეს გარემოება კარგად აქვთ გათვალისწინებული და სწორედ ამიტომ წელსაც აქვთ განზრახული ზოგიერთ საჭირო ცვლილებათა მოხდენა. მაგალითად, წრევანდელ კრებებს ტფილისშიაცა და ქუთაისშიაც წარედგინება მოხსენებანი ბანკის მოქმედების გასაფართოვებლად შტატების მომატების შესახებ: ტფილისის ბანკი აპირებს ორის დამფასებლის მომატებას, ქუთაისისა—ერთის დირექტორის და ერთის თუ ორის დამფასებლისას. დამფასებელ კომისიას დიდი მნიშვნელობა აქვს ბანკის მოღვაწეობაში. ხშირად მომხდარა ხოლმე, რომ ბანკს კლიენტები დაუკარგავს იმის მიზეზით, რომ დამფასებელი დროზე ვერ მისულა სესხის გამტანის მსურველთან; სესხის მიცემის დაგვიანება-კი ძალიან აფრთხობს საზოგადოებას. ტფილისის ბანკს მაინც ამ ჟამად დიდი საოპერაციო ტერრიტორია აქვს და, რასაკვირველია, არსებული შტატი დამფარებლებისა ვერ აუდის საქმეს. ამ მოსაზრებათა ძალით, რწმუნებულთა კრება, ალბათ, შეიწყნარებს ბანკების გამგეთა შუამდგომლობას და ხარჯის მომატებას არ შეუშინდება, რადგან ამგვარი ხარჯი ერთი ორად დაუბრუნდებათ.

გარდა ამისა, ორისავე ბანკის მმართველი ორგანოები თხოულობენ შუამდგომლობის აღძვრას ოპერაციების რაიონის გაფართოვების შესახებ. ეს ნამეტურ საჭიროა ქუთაისის ბანკისათვის, რომლის სამოქმედო ასპარეზი ძალიან შეზღუდულია. ტფილისის ბანკის გამგეობა საჭიროდ სთვლის შავი ზღვის ნაპირა გუბერნიაც შემოიფარგლოს, რა განზრახვაც ფრიად მოსაწონია, თუ გავიხსენებთ, როგორ თან-და-თან წარმატებაში შედის ის მხარე... ეჭვი არ არის, რწმუნებულთა კრებანი დააკმაყოფილებენ ბანკების მმართველთა ამ თხოვნასაც.

ყურადღების ღირსია აგრეთვე ტფილისის ბანკის გამგეობის პროექტი თავის მსახურთათვის შემნახველ კასსის დაარსების შესახებ. როგორც გვახსოვს, ამ ბანკს წინად საპენსიო კასსის დაარსება უნდოდა, მაგრამ, როგორცა სჩანს, ახლა ეს განზრახვა მიუტოვებია და სხვა გზას დასდგომია მსახურთა უზრუნველყოფობისათვის. გამგეობის პროექტით, უნდა დაარსდეს შემნახველი კასსა, რომლის თანხა უნდა შესდგეს ბანკის ყოველწლიურ შემწეობიდან (წელიწადში 12 ათასი მან.), მსახურთა ჯამაგირებიდან შეტანილ ფულისაგან, შემოწირულებათგან და სხვა. კასსის ყოველს მონაწილეს საკუთარი ანგარიში ექნება გახსნილი, და შეგროვილი ფული ერთიანად დაუბრუნდება, როდესაც სამსახურს მიატოვებს, ხოლო თუ გარდაიცვალა, შენახული ფული მის მემკვიდრეთ მიეცემა.

ჩვენ არ ვიცით დაწვრილებით პროექტის შინაარსი და ამიტომ მის განხილვას არ შევუდგებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ მსახურთა უზრუნველყოფობას დიდი მნიშვნელობა აქვს ბანკის მოქმედების გაუმჯობესების საქმისათვისაც-კი და ამიტომ რწმუნებულთა კრებამ არც ეს პროექტი უნდა დასტოვოს უყურადღებოდ.

საზღვარ-გარედ

ბალკანეთი. ბოლგარიის ერთს ნახევრად ოფიციალურ გაზეთში შემდეგი წერილია დაბეჭდილი: „რადგან ოსმალეთის მთავრობის და ადმინისტრაციის სისასტიკე და სიმხეცე უფრო და უფრო ძლიერდება მაკედონიაში, რევოლიუციონერების მეთაურებმა საბოლოოდ დაადგინეს—არ აუხვიონ არავითარ ღონისძიებას და გზას და მთელი მაკედონია არივ-დარიონ. ესეთი გადაწყვეტილება მიიღეს რევოლიუციონურ კომიტეტის საიდუმლო სხდომაზე, რომელიც მოხდა 31 მარტს. დადგენილებას ხელი მოაწერეს რევოლიუციონურ მოძრაობის უმთავრესი ხელმძღვანელებმა და შეატყობინეს ყველა რევოლიუციონურ რაზმებს, აგრეთვე სხვა მაკედონელებსაც.

კომიტეტის დადგენილებაში, სხვათა შორის, ნათქვამია: „ან ყველა უნდა გავწყდეთ სამშობლოს მთებსა და კლდე-ღრეებში ან და უნდა დავამხვრიოთ რამდენიმე საუკუნე არსებული მხეცური და სისხლის მღვრელი ოსმალური რეჟიმი". პირი ამ დადგენილებისა გაგზავნეს არა მარტო კონსტანტინეპოლში, სოლუნში და ბიტოლიაში, არამედ ყველა ოსმალო ჯარის უფროსებს გაუგზავნეს. ამ გადაწყვეტილებით უნდა აიხსნეს რევოლიუციონურ რაზმების გაბედული და თავგანწირული მოქმედება, ამით უნდა აიხსნეს ის გარემოებაც, რომ ეს რაზმები თითქმის ყოველთვის იმარჯვებენ ოსმალებზე, თუმცა ამათი რიცხვი ყოველთვის გაცილებით მეტია, ვიდრე რევოლიუციონერებისა."

◆ გაზეთებში მოთხრობილია უფრო დაწვრილებით, ვიდრე დეპეშებში იყო, სოლუნში მომხდარ აფეთქებათა ამბავი.

სოლუნის სახლებისა და დუქნების გაჩხრეკის დროს ნახეს დიდძალი ყუმბარები და დიდძალი რევოლიუციონერები დააპატიმრეს; ამათგან ზოგიერთებმა თავი მოიკლეს. მოკლულთა რიცხვი ასზე მეტი უნდა იქმნეს... ყუმბარამ დაანგრია ოტომანის ბანკისა და მიტილენეს ბანკის შენობები. რამდენისამე კვირის წინ აფეთქებამდე ოტომანის ბანკს მოსვლია ამბავი, რომ აფეთქებას აპირებენ, მაგრამ ოსმალეთ ჯარს არავითარი ზომა არ მიუღია მოსალოდნელ უბედურების ასაცილებლად. აფეთქება ასე მოხდა: ორ მაისს (ახალის სტილით), მზის ჩასვლისას, ბანკის შენობასთან მივიდა სამი ეტლი. პირველიდან გადმოხტა ოთხი კაცი და რევოლვერებით დახოცეს დარაჯები. დანარჩენ ეტლებიდან გადმოვიდა კიდევ 8 კაცი, შევიდნენ ბანკის შენობაში და ცეცხლი წაუკიდეს; გარდა ამისა რამდენიმე ყუმბარაც გადაისროლეს; შემდეგ მიტილენეს ბანკში მივიდნენ და იგივე მოიმოქმედეს.

რევოლიუციონურ კომიტეტის დადგენილება—უკიდურეს ღონისძიებათ მოვკიდოთ ხელი და გავწყდეთ სამშობლოს განთავისუფლებისათვისო,—ცარიელი სიტყვები არ გამოდგა: გაბედულად და თავდაუჭერელად შეუდგნენ მის ასრულებას. შეუძლებელია, რომ ასეთი ხალხი არ ეღირსოს თავისუფლებას.

◆ ერთი გაზეთი სწერს სოლუნის ეხლანდელ „მშვიდობიან" მდგომარეობის შესახებ: „მართალია, სოლუნში დინამიტის აფეთქება აღარ ისმის, მაგრამ სამაგიეროდ სხვა საშიში ცნობები მოდის მაკედონიიდან: ბოლგარიის და ოსმალეთის მდგომარეობის გამწვავება, ალბანელების დაუსრულებელი პროტესტი რეფორმების შემოღების წინააღმდეგ, ახალ ახალ ჯარების გადმოყვანა მცირე აზიიდან, ყველაფერი ეს კარგის მომასწავებელი და იმედის ჩამნერგველი არ არის. მაგრამ ყველაზე უფრო საშიში ის არის, რომ დიპლომატებსაც აღარ სჯერათ, რომ განზრახულ რეფორმების შემოღება ყოვლად შეუძლებელია ოსმალეთის ადმინისტრაციის საშუალებით".

ცნობილი პროფესორი ვამბერი ოსმალეთის დიდი მეგობარი და მოყვარეა, მაგრამ ისიც-კი იძულებულია სთქვას, რომ ეხლანდელი მდგომარეობა აუტანელია. „ერთის მხრივ სულთანსა და მის მოხელეებს რეფორმები შემოაქვთ, მეორე მხრივ ოსმალეთის ქრისტიანები მოწადინებული არიან თავისუფლებას და არა წვრილმან რეფორმებს... ხუთი და ექვსი საუკუნე მტარვალობისა ეგრე ადვილად არ დაივიწყება განსაკუთრებით მაშინ, როცა იქვე გვერდით არსებობს ხალხები, რომელთაც განითავისუფლეს თა-

შემოღებისა, სულ ერთია თავის ნებით იმოქმედებს თუ იძულებით, სრულებით უნაყოფო იქნება. როცა მთელი სხეული მოწამლულია, ერთი ასოს მოჭრით საქმეს არ ეშველება. განზრახულ რეფორმებმა რომ დაამშვიდოს მაკედონია, მე ეს არა მჯერა".

◆ ქალაქი სალონიკი ან სოლუნი, სადაც ზემოდ აღწერილი ამბები მოხდა, უდიდესი ნავთსადგურია ევროპის ოსმალეთისა. ზღვიდან მეტად მშვენიერი სანახავია ეს ქალაქი და მდებარეობით გენუასა ჰგავს. გენუასავით სოლუნი ამფითეატრს მოგაგონებთ კისოსის მთის ძირში, რომლის მწვერვალი თითქმის მუდამ თოვლით არის დაფარული. მთელი ქალაქი, გარდა ნავთსადგურისა, კედლით არის შემოვლებული. ნავთსადგური ნამდვილ ევროპიულად არის მოწყობილი.

თვითონ ქალაქში-კი, გარდა რამდენიმე უბნისა, ვიწრო და ჭუჭყიანი ქუჩებია. მცხოვრებლები სულ სხვა-და-სხვა ერისანი არიან: ნახევარზე მეტი (150.000) ებრაელებია, 30 ათასი ოსმალო, ბერძნები და ევროპიელები 15 ათასი, ბოლგარელები—10 ათასი.

ებრაელები ესპანიიდან გამოქცეულების (XV საუკუნე) ჩამომავლები არიან და დიდი უმრავლესობა მშრომელი, ღარიბი ხალხია. ეხლაც ესპანიურ-ებრაულ „ჟარგონზე" ლაპარაკობენ, ამავე ენაზე სწერენ და ბეჭდავენ ჟურნალ-გაზეთებს.

ბერძნები თითქმის სულ ვაჭრები არიან და დიდ პატივისცემაში ჰყავთ ოსმალელ მოხელეებს. ბოლგარელებიც მდიდარი ვაჭრები ან მიდამოებში მცხოვრები მოხელეები არიან.

მანჯურიის საქმე. ინგლისური „ტაიმს"-ი არ სცხრება და რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ ჩინეთში ბევრსა სწერს. რუსეთიდან ორპირობისა და აგრესიულ განზრახვების მეტს არას უნდა მოველოდეთ, რაც არ უნდა გამოაცხადონო. ამ დღეებში ასეთი დეპეშა იყო დაბეჭდილი: „რუსეთმა რომ კიდეც უკან წაიღოს თავისი მოთხოვნანი, მაინც არ გამოიცვლება ის ფაქტი, რომ მხოლოდ ძალით შეიძლება მოხერხდეს, რომ მანჯურია არ გახდეს რუსეთის პროვინცია."

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

◆ ხვალ, 30 აპრილს, იწყება სხდომები ტფილისის სათავად აზნაურო **საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულებისა.** სხვა საქმეთა გარდა უნდა აარჩიონ ზედამხედველ კომიტეტის წევრები, ბანკის გამგეობის თავმჯდომარე თავ. ი. გ. ჭავჭავაძის მაგივრად, რომელსაც სამსახურის ვადა უთავდება, სამი წევრი დამფასებელ კომისიისა და ორი ახალი წევრი იმ შემთხვევაში, თუ კრებამ მიიღო გამგეობის მოხსენება ამ საგნის შესახებ, და ორი იმათი კანდიდატი.

◆ პეტერბურგიდან ცნობა მოვიდა, რომ საერო განათლების სამინისტრო ამ დღეებში ჰგზავნის კავკასიაში **სამინისტრის იურისკონსულტს** მამონტოვს.

◆ კვირას, 27 აპრილს, მოხდა რუსეთის **მუსიკალურ საზოგადოების** კავკასიის განყოფილების წევრთა კრება საზოგადოების შენობის დასამთავრებლად საშუალებათა მოპოვებაზე მოსალაპარაკებლად. კრებაზე კ. მ. ალიხანოვმა განაცხადა, რომ თავის ხარჯით კისრულობს შენობის დამთავრებას, რისთვისაც საზოგადო კრებამ მადლობა გადაუხადა და დაადგინა მუსიკალურ დარბაზს ალიხანოვის სახელი ეწოდოს. შენობის დამთავრებას კიდევ უნდა 16 ათას მანეთზე მეტი.

◆ კვირას ტფილისში ჩამოვიდა რომის კათოლიკეთა ტირასპოლის **ეპისკოპოსი.** დღეს, 29 აპრილს, ეპისკოპოსი სადღესასწაულო წირვას გადაიხდის კათოლიკეთა წმ. მიძინების ტაძარში.

◆ კვირას, 4 მაისს, რომის კათოლიკეთა ტირასპოლის ეპისკოპოსი აკურთხებს ბათუმში ახლად აგებულ კათოლიკეთა ეკკლესიას.

◆ საერო განათლების სამინისტრომ გამოგზავნა ტფილისს სამინისტროს მოხელე, რომელსაც მინდობილი აქვს გაიცნოს სრულად სადავო საქმე **სოფლის სამრევლო სკოლების** უწყებისა და სამოსწავლო ოლქის შუა. რაკი ეს სკოლები სამინისტროს უწყებაში გადავიდა, მათი შესანახი წყაროები მოისპო და სამინისტრო საჭიროდ სთვლის უფლება მოიპოვოს როგორც ამ სკოლების შენობებზე, ისე იმ თანხებზე, რომელნიც სკოლებისათვის შეუწირავთ. საქმემ, როგორც მკითხველებმა იციან, სასამართლომდის მიაღწია.

◆ ქუთაისის გუბერნიის **ჟანდარმთა გამგეობის უფროსი** გენერალ-მაიორი სტოპჩანსკი, როგორც „კავკ."-ს ატყობინებენ, ავადმყოფობისა გამო სამსახურიდან დაითხოვეს.

◆ როგორც გავიგეთ, გორის მაზრის **უფროსად გადმოჰყავთ** შუშის მაზრის უფროსი ბ-ნი ლუნკევიჩი.

◆ 1-ლ მაისს შულავერში იხსნება სოფლის საზოგადოების ხარჯით **სასოფლო ქსენონი.** გამგედ ინიშნება ექ. ნათიშვილი.

◆ კავკასიის საექიმო მმართველობამ კვლავ აღძრა შუამდგომლობა **სოფლის ფელდშერთათვის ჯამაგირების** მომატების შესახებ, რადგან არსებულის ჯამაგირით ხეირიანი ფელდშრები აღარ მიდიან სოფლებშიო.

◆ კვირას, 27 აპრილს, **ტფილისიდან მცხეთაში** რკინის გზით წავიდა ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის 190 მოსწავლე. მოსწავლენი იმავე საღამოთი დაბრუნდნენ.

◆ როგორც მკითხველებმა უთუოდ უწყიან, ტფილისის მეშეშეები **შეშას** აქამდე ზომით ჰყიდდენ, ეხლა ზოგიერთებს გადაუწყვეტიათ შეშა წონით ჰყიდონ ხოლმე.

◆ როგორც ვუწყით, რკინის გზებზე დააწესეს **დაკარგულ საქონლის** მძებნელთა ახალი თანამდებობანი. ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე ხუთი კაცი დაინიშნა, რომელთაც მინდობილი აქვთ დაკარგულ საქონლის ძებნა. ერთი, კობილინსკი, დანიშნეს ფოთში; მეორე, კარელინი, ტფილისში, მესამე, ბოროდზინი, განჯაში; მეოთხე, კოტოვი, ბაქოში და მეხუთე, პეტროვი, გუმბრში ყარს-ერევნის რკინის გზისთვის.

◆ **1900 წელს „ნემეცების" სარწყავ არხზე ქალაქის გამგეობამ გამართა ხიდი. ამ ხიდს ქვეშ არხი ამოსილდულა ისე, რომ შესაძლებელია წყალმა დიდი ზარალი მიაყენოს ბორჯომის ქუჩასთან მებაღეებსა და სახლის პატრონებს. წყლითა ოლქის პირველ ნაწილის მირაბმა ეს ამბავი შეატყობინა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას და სთხოვა განკარგულება მოახდინოს არხის გასაწმენდად.**

◆ **გუშინ, 28 აპრილს, ტფილისის მეორე ნაწილის ბოქაულმა სთხოვა ქალაქის გამგეობას განკარგულება მოახდინოს, რომ ქალაქის ხუროთმოძღვარმა შეამოწმოს პრიუტის ქუჩაზე ჯარკვენოვის სახლის კედელი, რომელიც ლამის არის ჩამოიქცეს.**

◆ **ივნისში კავკასიას ჩამოვლენ კურსკის ერობის სკოლათა 40 მასწავლებელი ქალი და კაცი. ხსენებული ერობა სთხოვს ტფილისის გამგეობას დახმარება აღმოუჩინოს ექსკურსანტებს, რომელნიც ტფილისში სამს დღეს დარჩებიან.**

◆ **ხელოვნურ-მინერალურ წყლების ქარხნების მუშები სთხოვენ ტფ. ქალაქის გამგეობას გამოსცეს სავალდებულო დადგენილება ამ ქარხნებში კვირაობით მუშაობის შეწყვეტისა ან შემცირებისათვის.**

◆ ლანჩხუთიდან გვატყობინებენ: რკინის გზის მე-33 ვერსზე, 26 აპრილს, როდესაც მატარებელი მიდიოდა, ლიანდაგზე საქონელი იდგა. გზის დარაჯი ივანე ცინცაძე გაიქცა საქონლის გადასარეკად, მაგრამ ამ დროს მატარებელი წამოეწია და დააშავა. დაშავებული იმავე მატარებლით სამტრედიის სამკურნალოში წაიყვანეს.

◆ როგორც ხაშურიდან გვატყობინებენ, 27 აპრილს, საღამოს $10^1/_2$ საათზე, გომიდან მომავალი საქონლის მატარებელი № 159 ხაშურში შეცდომით გაუშვიათ პირველ ლიანდაგზე, სადაც ნავთის ქვაბები იდგა. 8 ვაგონი ლიანდაგიდან გადავარდა. კაცის თავს უბედურება არა მომხდარა-რა.

◆ 26 აპრილს სხდომა ჰქონდა ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის შენობის ამგებელ კომისიას. კომისიამ განიხილა ამ საღამოს და დამტკიცა პროექტი იმ ხელშეკრულებისა, რომლის ძალითაც საიჯაროდ სახლის სხვა-და-სხვა სამუშევრების გაკეთება გადაეცა ამბარცუმ ეგიანცს.

◆ როგორც გვატყობინებენ, თელავის მაზრის მცხოვრებს სიკო წიბილაშვილს თავის მეზობლის გრიგოლ ბურიძის 8 ცხენი წაუყვანია სადღაც გასასაღებლად. წიბილაშვილისა და მოპარულ ცხენების საპოვნელად პოლიციას საჭირო ღონისძიებანი მიუღია.

◆ ბორჩალოს მაზრის ალავერდის სპილენძის ქარხნის მოსამსახურე მაქსიმე ნოვიკოვის სახლს დასცემიან ღამით ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი, ჩაუმტვრევიათ ფანჯრები და კარები და გაუტანიათ სხვა-და-სხვა ნივთები.

◆ სიღნაღის მაზრის სოფ. ბოდბის ხევის მცხოვრებთ გიგა და გაბრო დუგაშვილებს რაღაც მიზეზისა გამო ჩხუბი მოსვლიათ გიორგი ჭუჭულაშვილთან, რომლისთვისაც კეტით თავი გაუტეხიათ.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

◆ კოსტრომის საგუბერნიო საერობო კრებამ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას სახელმწიფოს მიერ ქარხნის მუშათა დაზღვევის შესახებ. მუშები უნდა დააზღვიონ ავადმყოფობისა, სიკვდილისა და უადგილობის შემთხვევათათვის. საგუბერნიო ერობის პროექტით, დასაზღვევ ფონდის შედგენაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ხაზინამ, მრეწველებმა და თვით მუშებმა.

◆ კიშინევში მომხდარ ამბების შესახებ სწერენ „ნოვოსტ"-ში: „როდესაც კიშინევში გაძლიერებულ დაცვის წესები შემოიღეს, წესიერება დამყარდა. ჯარს ებრძანა, აქტიური მონაწილეობა მიიღოს. მაგრამ ებრაელთა აკლების ამბავი მალე მთელ გუბერნიას მოედო. ყველა კუთხიდან დეპეშა-დეპეშაზე მოსდიოდა გუბერნატორს: სთხოვდნენ ჯარი გაეგზავნა, რადგან ხალხი თავს-დასაცემად ემზადებაო. ყველაზე საშიშ ადგილად მიაჩნდათ კალარაში, სადაც ბაზარი უნდა გაემართათ. დაუყოვნებლივ ჯარი გაიგზავნა. საღამოთი იქიდან დეპეშა მოვიდა. იუწყებოდნენ, რომ ჯარმა ნება არ მისცა ებრაელების აკლებისა. სხვა დაბა-ქალაქებიდან დეპუტატები მოვიდნენ შემწეობის სათხოვნელად. მიღებულ ზომების მეოხებით თავ-დასხმა მაზრაში არსად მომხდარა სოფ. ბაჩოის გარდა, სადაც მიწასთან გაასწორეს რამდენიმე ებრაელის ოჯახი და მოჰკლეს ერთი დედაკაცი. ეს დედაკაცი კიშინევში სცხოვრობდა, აღდგომა დღეს იმისი სახლი აიკლეს და კინაღამ თვითონაც არ მოჰკლეს. ამიტომ იგი ბაჩოიში გაიქცა, მაგრამ იქ ველარ გადარჩა სიკვდილს. ბაჩოიში დააპატიმრეს 40 კაცი. თვით კიშინევში აკლების დღეს პოლიციამ ძალიან ცოტა ხალხი დააპატიმრა. დაპატიმრებას შეუდგნენ მხოლოდ რამდენისამე დღის შემდეგ. ბრალმდებელმა აუარებელი საჩივარი და თხოვნა მიიღო დაზარალებულთაგან. შეუდგნენ სახლების ჩხრეკვასაც. ბევრგან მთელი საწყობები ჰნახეს მოპარულ საქონლისა. ზოგნი მაღაზიებიდან გატანილ ახალ ტანისამოსში გამოწყობილიყვნენ და დილით საღამომდე ტრაქტირებში ქეიფობდნენ. ბევრი საქონელი, რასაკვირველია, დამალეს. მამაკაცებთან ერთად დედაკაცებიც დააპატიმრეს. აღმოჩნდა, რომ ისინი მამაკაცებზე ნაკლებ მხნეობას არ იჩენდნენ ებრაელების აკლება-გაძარცვაში. მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე მოსწავლენი და ინტელიგენტნი, რომელთა შორის ორიოდე ადგილობრივი „მოღვაწენიც"-კი აღმოჩნდა. როგორც ვუწყით, დაზარალებულ ებრაელთა სასარგებლოდ ფულის შეკრებას შეუდგნენ. ბევრს შემწირველს უსახელო წერილები მისდით; ემუქრებიან, ფულს ნუ სწირავთ, თორემ ინანებთო."

კიშინევიდანვე „პეტერ. ვედომ."-ს სწერენ: „გაზეთი „ბესარაბეც"-ი თავისას არ იშლის. ამ გაზეთის სულის ჩამდგმელი ეხლაც, ებრაელების აწიოკების შემდეგ, თითქმის ყოველ დღე ათავსებს წერილებს ამ ტანჯულ ხალხის წინააღმდეგ. პირველად დაიბეჭდა გაზეთში წერილი ვიღაც „ვიჩ"-ისა, რომელიც ამბობდა, რომ „ამ გვარი ძარცვა-გლეჯა და ხალხის ჟლეტა ჩვეულებრივი მოვლენაა მთელს რუსეთში: აქ ჟლეტენ ებრაელებს, იქ თათრებს, მოსკოვში—სტუდენტებს და ასე ყოველ დღე. ყველა ეს შედეგია იმ სიძულვილისა, რომელმაც ებრაელების ძალ მომრეობის გამო ტანჯულ ქრისტიანეთა გულში დაიბუდა". მეორე დღეს გაზეთმა მოათავსა წერილი ქრისტიანის ბავშვის დაკარგვის შესახებ. ნათქვამი იყო, რომ ბავშვი ბოქაულის თანაშემწე დობროსელსკიმ ბაზარში ჰნახა; ბავშვს ებრაელები შემოჰხვეოდნენ და აბრალებდნენ ერთის დუქნიდან ლიმონის მოპარვას. სად დაიკარგა ეს ბავშვი, ბოქაულის თანაშემწემ არ იცისო, უმატებს ბოლოში გაზეთი. რასა თქმა უნდა, გაზეთი ებრაელებს გულისხმობს. სხვა დროს ამ შენიშვნისათვის იქმნება ყურადღება არ მიექციათ, მაგრამ ეხლა, როდესაც ებრაელთა აკლება ყველას ასე ადვილ საქმედ მიაჩნია, ამ ნაირ ჭორების გავრცელება სახიფათოა. თუმცა ორმა კვირამ გაიარა ებრაელთა აკლების შემდეგ, მაგრამ ქალაქი ჯერ კიდევ ცარიელია. ზოგიერთ ქუჩაზე ხალხის ჭაჭანება არ არის. ქალაქის შუაგულსა და განაპირა უბნებში აუარებელი სადგომია ცარიელი. მსხვერპლი ბევრად მეტი აღმოჩნდა, ვიდრე წინად ეგონათ. 16 აპრილამდე ებრაელთა სასაფლაოზე 44 კაცი დაასაფლავეს. ავადმყოფთა რიცხვი 400 კაცს აღემატება."

ამავე გაზეთის მეორე კორესპონდენტი სწერს: „საჭიროა კაცმა ებრაელთა სასაფლაოსკენ გაიაროს, რომ გულისა და სულის ამღვრევი სურათები ჰნახოს. აი, მაგალითად, სამის ქალის გვამი. ერთს მუცელი ჯვარედინად აქვს გაჭრილი, მეორეს ცხვირის ნესტოებში გრძელი ლურსმნები აქვს გარჭობილი, მესამეს გული აქვს ამოჭრილი. აი, კიდევ მოკლულის გიმნაზიელის გვამი: საწყალისთვის ენა ამოუჭრიათ... ექიმმა, რომელთანაც პირველად დაშავებულ-დაჭრილნი მიიყვანეს, მითხრა: ერთ ებრაელისთვის ჯერ ტუჩები მოეჭრათ, მერე გაზით ენა ამოეგლიჯათ. ერთი ფეხ-მძიმე დედაკაცი დაესვათ სკამზე და დიდი კეტები დაეშინათ მუცელზე. ბევრი ბავშვი მეორე და მესამე სართულიდან გადმოეგდოთ და სხვა."

◆ ქალების ერთმა ჯგუფმა, რომელთაც უმაღლესი სამკურნალო კურსები გაათავეს, შუამდგომლობა აღძრეს, რომ ნება მიეცეთ ეგზამენი დაიჭირონ მედიცინის დოქტორის ხარისხზე.

◆ როგორც „პრავიტ. ვესტ."-ში ვკითხულობთ, რიგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ნება დაურთავს, რეველის გიმნაზიაში ასწავლონ ესტონური ენა. პროგრამა უკვე დაამტკიცა მზრუნველმა. ამ პროგრამით უნდა ასწავლონ ეტიმოლოგია და სინტაქსისი.

◆ ბეჭდვითი საქმის მთავარ გამგეობას ფინლიანდიაში გაუფრთხილებია გაზეთი „სოუმენ სანომატ"-ი, რომელიც ქალაქ ვილმანსტრანდში იბეჭდება.

◆ უმაღლესის ბრძანებით მდგომარე სამოსწავლო წლიდან გააუქმეს ფინლიანდიის კადეტთა კორპუსის უმთავრესი კლასები. კორპუსიდან მოსწავლენი ამიერიდან უნდა გადაიყვანონ რუსეთის უმაღლესს სამხედრო სასწავლებლებში. ვინც ამ სასწავლებლებში არ მოისურვებს გადასვლას, იმას სრულიად დაითხოვენ.

◆ „სარატ. გუბერ. ვედომ."-ში დაბეჭდილია: „აღდგომის დღესასწაულების დროს ხმა გავრცელდა, ვითომც ქალაქში რაღაც უწესოება მომხდარიყოს. ამ ხმის გავრცელების მიზეზი შემდეგი იყო. მეიდანზე დღესასწაულებისთვის გამართეს ბალაგანები, საქანელები და სხვა გასართობები. ერთ საღამოს პოლიციელებმა დაუპირეს წაყვანა ერთ ნასვამ კაცს, რომელსაც სტატსკური ტანისამოსი ეცვა. ამ კაცმა მიჰმართა იქვე მყოფ ჯარის კაცებს და სთხოვა, მომეხმარენით, რადგან მეც ჯარის-კაცი ვარო. რამდენიმე ჯარის-კაცი მიჰვარდა პოლიციელებს, თვალსაჩინო უწესოება მოახდინა და შეურაცხყოფა მიაყენა ბოქაულს. მაგრამ მალე აცნობეს სამხედრო მთავრობას, მოვიდა კომენდანტი და უწესოების ჩამდენნი შეიპყრეს. გამოძიება სწარმოებს."

◆ საერო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტს საშუალო სკოლის რეფორმის შესახებ ის აზრი გამოუთქვამს, რომ გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებისათვის პირველი ორი კლასი საერთო უნდა იყოსო. კომიტეტის აზრით, ლათინურის ენის სწავლება უნდა იწყებოდეს მესამე, ხოლო ბერძნულის ენისა —მეხუთე კლასიდან.

ᲞᲠᲔᲡᲡᲐ

ჩვენ დავბეჭდეთ ამას წინად გაზეთ „სპუტნიკ ზდოროვ."-ს აზრი ეგზამენების შესახებ. გაზეთი უარ-ჰყოფს ეგზამენების საჭიროებას და აღნიშნავს, რა ვნება მოაქვს მოზარდ-თაობის ჯანმრთელობისათვის საეგზამენოდ მზადებას. ამის შემდეგ გაზეთი განაგრძობს:

> მართალია, საეგზამენო ციებ-ცხელების შემდეგ მოსწავლეთ ეძლევათ საკმაოდ ხანგრძლივი დრო დასასვენებლად—ზაფხულის ვაკაცია, რომლის დანიშნულებაა აღუდგინოს ბავშვს სამოსწავლო წლისა და ეგზამენების დროს დახარჯული ძალ-ღონე; მაგრამ, განა ყველა მოსწავლეთ შეუძლიათ ისარგებლონ სავსებითა და როგორც რიგია დასასვენებლად დანიშნულის დროთი? სამწუხაროდ, ყველას არა!
>
> მოსწავლეთა შორის ბევრს არა აქვს შეძლება გაატაროს ზაფხული ზღვის პირად ან მთებში ან სოფლად, სადაც მართლა შეუძლიათ დაისვენონ და ძალა მოიკრიბონ; ბევრი ყმაწვილი-კი იძულებულია ზაფხულშიაც ისუნთქოს ქალაქის გაფუჭებულ ჰაერით, როგორც ზამთარში. ამგვარ

პირობებში, რასაკვირველია, არ შეიძება ლაპარაკი არც ძალ-ღონის მოკრებაზე, არც ნორმალურ დასვენებაზე...

ამიტომაც გაზეთი სიამოვნებით ეგებება გაზეთებში ამას წინად დაბეჭდილ ამბავს, რომ მთავრობას განზრახვა აქვს ყველგან დაარსოს სასკოლო კოლონია-აგარაკები საშუალო სასწავლებელთა მოწაფეებისათვის. გაზეთის სიტყვით,

განზრახულია ამ აგარაკებში მიიღონ ღარიბ მშობლების ბავშვები სულ მცირე ფასის გადახდევინებით. აგარაკის დანიშნულება იქმნება არა მარტო ჰიგიენურ პირობებში დაასვენოს ბავშვები, არამედ ავარჯიშოს ისინი ფიზიკურად და გონებითაც, მაგრამ ისე-კი, რომ ეს ვარჯიშობა მძიმე არ იქნეს და ხელი არ შეუშალოს დასვენებას.

ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი საშუალება, რომელსაც საგნად ექმნება ღარიბ მოზარდ-თაობის ჯანმრთელობის გამაგრება, დიდ სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას. სასურველია მხოლოდ, მალე განხორციელდეს ეს განზრახვა.

* *

დიდ ქალაქებში, სადაც ასე გამწვავდა ბრძოლა არსებობისათვის, ერთ მძიმე საქმეს შეადგენს სადგომის საკითხი. სადგომების სიძვირე და სახლის პატრონთა თვითნებობა უკიდურეს მდგომარეობაში აყენებს ღარიბ ხალხს. ყოველ წელს მატულობს რიცხვი იმათი, ვისაც სახლის პატრონები ქუჩებში აგდებენ. სახლის პატრონთა მადა აულაგმავია; მათთვის არც კანონია, არც წესი და რასაც უნდათ, იმას სჩადიან. ამ საკითხის შესახებ ბევრი სხვა-და-სხვა აზრი გამოითქვა პრესაში: ზოგი თხოულობს კანონმდებელის ჩარევას სახლის პატრონთა და სადგომის დამქირავებელთა ურთიერთობაში, ზოგი ქალაქის თვითმართველობას ავალებს სახლების აშენებასა და სადგომების ღარიბ ხალხზე მიქირავებას, ზოგი ქადაგობს აქციონერთა საზოგადოებების დაარსებას და მათის კაპიტალებით იაფ-ფასიან სახლების აგებას და სხვ. ახლა გაზ. „ნოვოსტი“ აღნიშნავს ახალ-ღონისძიებას, რომელსაც საზღვარ გარეშე დიდი მნიშვნელობა ჰქონია. იქ არსებობს თურმე ერთგვარი საქველ-მოქმედო საზოგადოება, რომლის პირდაპირი დანიშნულებაა დახმარება აღმოუჩინოს ღარიბ ხალხს სადგომების ქირის გასტუმრებაში.

უმთავრესად ეს საზოგადოება გავრცელებულია გერმანიაში, ამბობს გაზეთი. სულ 30 ქალაქშია მოწყობილი ამგვარ დახმარების საქმე. ეს დახმარება სხვა-და-სხვა გვარია: აარსებენ შემნახველ კასებს, სადაც წვრილ-წვრილად აგროვებენ სადგომის დამქირავებელთაგან ფულს და თვითონ იხდიან ქირას; თავდებად უდგებიან სახლის პატრონთ, რომ ქირას გადუხდიან; სხვა-და-სხვა საშუალებით ჰკრეფენ ფულს და სესხად აძლევენ შეღავათიანის პირობით სადგომების დამქირავებელთ ქირის გადასახდელად და სხვა... სტატისტიკური ცნობები გვიმტკიცებენ, რომ გერმანიის იმ ქალაქებში, სადაც ეს საზოგადოებანი მოქმედებენ, მეტად შემცირდა სადგომებიდან გამოგდებულთა რიცხვი.

ამგვარ საზოგადოებათა დაარსებას, რასაკვირველია, მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ძნელი საფიქრებელია, რომ საქველ-მოქმედო საზოგადოების დახმარებით საგრძნობლად შემსუბუქდეს სადგომის დამქირავებელ ღარიბ ხალხის მძიმე ტვირთი. ისევ ქალაქის თვითმართველობის თაოსნობა და ხაზინის დახმარებით სახლების აგება აჯობებს. ეს წესიც გამოსცადეს საზღვარ-გარედ და კარგი ნაყოფიც მიიღეს.

* *

გაზეთება იმედს ამყარებენ ახლად განზრახულ საშუალო სკოლებზე. თუ ისინი მრავლად დაარსდა, რუსეთის პროვინციებში იმატებს განათლებულთა რიცხვიო. ამის გამო რეაქციონურ გაზეთებმა კვლავ დაიწყეს ჩვეულებრივი ლაპარაკი, რუსეთში ისედაც ბევრია განათლებული და „перепроизводство“-ც კი არისო. რასაკვირველია, ასეთ მტკნარ სიცრუეს სერიოზულ ყურადღებას არავინ აქცევს. მოვჰყავთ მხოლოდ ამას წინად „იურისტ“-ში დაბეჭდილი ამბავი, რომელიც ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ ახასიათებს კი რუსეთის ჩამორჩენას სწავლა-განათლების მხრივ. აი ეს ამბავიც:

ელისავეტგრადი, დიდი პროვინციალური ქალაქი, ამას წინად დიდ გაჭირვებაში ჩავარდა: უეცრად საჭირო შეიქნა უფროს ნოტარიუსის ადგილზე კანდიდატის დანიშვნა. რადგან სასამართლო უწყების მოხელეთა შორის ადგილობრივ არ აღმოჩნდა უმაღლეს სწავლის კურს-დამთავრებული, უფროს ნოტარიუსის თანამდებობის აღსრულება დაავალეს... სასამართლოს უწყებათა დამტარებელს. ამგვარად გაჩნდა ფრიად უხერხული მდგომარეობა: ნაშუადღევის 3 საათამდე ახალი ნოტარიუსი ასრულებდა მისთვის მეტად ძნელს სამსახურს, რომელიც სპეციალურ მომზადებას თხოულობს; სამ საათის შემდეგ კი სასამართლოში დასაბარებელ უწყებებს ურიგებდა მცხოვრებთ...

“Перепроизводство“-ც ამასა ჰქვიან!..

* *

კავკასიელ მხატვართა გამოფენის შესახებ (ეს გამოფენა „დიდების ტაძარშია“ ტფილისს) რამდენიმე წერილი დაიბეჭდა რუსულ გაზეთებში. სხვათა შორის, აი, რას ამბობს „კავკაზი“ მხატვრის მრევლიშვილის სურათებისა და მექანდაკის ნიკოლაძის ქანდაკებათა შესახებ:

ბ-ნ მრევლიშვილს გამოფენილი აქვს სურათი „დაბალი ლობე“. სოფლის მოხელენი გადასულან ამ დაბალ ლობეზე და საწყალ მოსახლის სახლიდან გამოუტანიათ რაც რამ გააჩნდა. ქოხის დირესთან ჰკვნესის ნახევრად წამოწოლილი ქოხის პატრონი, რომლისთვისაც მოხელეებს, როგორც ეტყობათ, საკმაოდ უხელიათ გვერდები. გოგო ლიტრით წყალს აწვდის. სურათში ბევრი სიმართლეა; ეტყობა, ქოხის პატრონსა და მოხელეებს დიდი შეტაკება მოსვლიათ. თუმცა ვერაფერი სასიამოვნოა, რომ უმთავრესი ფიგურები ზურგით არიან მობრუნებულნი. გამოფენილია იმავე მრევლიშვილის მიერ დახატული პორტრეტი წინამძღვრის ნინოსი. მხატვარს მოუსურვებია მეტის ასკეტიზმის აღნიშვნა, ამიტომ პორტრეტი უფერული გამომდგარა. ყოველს შემთხვევაში სახეს მკაფიო გამომეტყველება აქვს.

დიდად გამომეტყველია ნიკოლაძის მიერ დამზადებული ბიუსტები ვ. ა. აბაშიძისა და კ. მესხისა. სახის ნაოჭები და ცნობის მოყვარეობით გამომყურე თვალები აბაშიძისა, აგრეთვე ეპიკურისებური იერი მესხისა მშვენივრად არის აღებული და მსგავსებაც დიდია. ეს ორი მშვენიერი pandant-ია: გოგოლის ხსოვნა ბევრად მეტს მოიგებდა ჩვენ თვით-მმართველობას მწერლის ბიუსტის დასამზადებლად ნიკოლაძისთვის რომ მიემართნა და არა ხოდოროვიჩისთვის“.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მოქმედება 1902 წელს.

ხვალ, 30 აპრილს, დილის 10 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია ამ ბანკის რწმუნებულთა წლიური კრება, რომელსაც განსახილველად დანიშნული აქვს შემდეგი საქმეები: 1) ანგარიში 1902 წლისა; 2) მოხსენება გამგეობისა ამ ანგარიშის შესახებ; 3) მოხსენება გამგეობისა დამფასებელ კომისიის რიცხვის გადიდების შესახებ კიდევ ორის ახალის წევრის ამორჩევით; 4) მოხსენება გამგეობისა საზოგადო გაჭირების დროს ბანკზე დარჩენილ მამულების მდგომარეობის შესახებ; 5) პროექტი სათავად-აზნაურო ბანკის მოხელეთა შემნახველ კასის წესდებისა; 6) მოხსენება გამგეობისა ბანკის იმ საქმეების შესახებ, რომელიც სასამართლოს წარმოებაშია; 7) მოხსენება გამგეობისა იმ საგნებისა გამო, რომელთა შესახებაც 1902 წელს რწმუნებულთა საზოგადო კრებამ ცნობები მოითხოვა, მაგ., ბანკში მოსამსახურეთა საპენსიო წესდებისა, დამფასებელ კომისიისათვის სახელმძღვანელოდ წესდების შედგენისა, ბაქოსა და სხვა ქალაქებში სააგენტოებისათვის ინსტრუქციების შემუშავებისა, ტფილისის ქალაქის მესესხებელთათვის გადასახადის შემცირებისა და სხვათა შესახებ და 8) ხარჯთ-აღრიცხვა ამა 1903 წლისა.

როგორც ბანკის ანგარიშიდან სჩანს, 1902 წლის განმავლობაში ბანკს გაუცია გრძელ ვადიანი სესხი 695, სულ 9,064,000 მანეთისა (1001 წელთან შედარებით 4,019,200 მანეთით მეტი); გირავნობის ფურცლებით ქალაქის მამულებზე გაცემულა გრძელ ვადიანი სესხი 614, 8,547,100 მანეთისა, ხოლო სოფლის მამულებზე 81 სესხი, 516 მანეთისა. სოფლის მამულებზე მოკლე ვადიანი სესხი 24, 31,280 მანეთისა, ქალაქის მამულებზე — 10 სესხი, 74,600 მან. საანგარიშო წელს ვადაზედ სოფლის მემამულეთაგან ვალი გაუსტუმრებიათ სულ 116,727 მან. 68 კაპ., ხოლო ქალაქის მემამულეთაგან—1,357, 430 მან. 29 კაპ. ამავე წელს ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებაში გადაუგირავებიათ მამული 226 160 მან. 20 კაპ. ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკში 191,128 მან. 36 კაპ., ბაქოს საკრედიტო საზოგადოებაში 320,413 მან. 26 კაპ. სულ 814,495 მან. 04 კაპ. სხვა ბანკიდან ტფილისის ბანკში გადმოუგირავებიათ: ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებიდან 1,131,951 მან. 46 კაპ., ბაქოს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისაგან—237,000 მან., ხოლო ქუთაისის „პროკაზიდან“ 19,571 მან. 38 კაპ. გრძელ ვადიანი სესხი ბანკს გაუცია 8,547,100 მანეთისა უზრუნველ ყოფილა ქალაქის უძრავ მამულებით, რომლებიც დამფასებელ კომისიის მიერ დაფასებულია 15,165,755 მან., ხოლო გამგეობის მიერ 14,445,030 მან. და დაზღვეულია 10,697,558 მანეთად. ქალაქის მამულებზე დამატებითი სესხი გაცემულა 813,700 მანეთისა. სოფლის მამულები, დაგირავებული ბანკში 516,900 მან., უზრუნველ ყოფილა 21,984 დესეტინა 376 ოთხ-კუთ საჟენ მიწით, სულ დაფასებულია კომისიის მიერ 1,203,390 მან., ხოლო გამგეობის მიერ 1,033,100 მან. სოფლის მამულებზე დამატებით სესხი გაცემულა 32,400 მანეთისა. საანგარიშო წლის პირველ ნახევარში ფულის შემოუტანლობისა გამო გაუყიდნიათ ქალაქის მამულებიდან 32, ხოლო სოფლისა 22 მამული; აქედან ბანკს დარჩენია სოფლის ერთი მამული, რომელზედაც თავნი ვალი ბანკისა ყოფილა 15,418 მან. 92 კაპ. წლის მეორე ნახევარში გაუყიდნია 25 ქალაქისა და 13 სოფლის მამული. მეორე საჯარო გაყიდვიდან ბანკს დარჩენია 10 ქალაქისა და 5 სოფლის მამული რომლებზედაც თავნი ვალი ყოფილა 199,115 მან. 11 კაპ.

საანგარიშო წელს წმინდა მოგება ბანკს დარჩენია 363,034 მან. 30 კაპ. ანგარიშის დასასრულ გამგეობა აღნიშნავს, რომ ბანკს დაარსებიდან გაუცია გრძელ ვადიანი სესხი 8,589, სულ 58,795,292 მან. 95 კაპ. აქედან ქალაქის მამულებზე გრძელ ვადიანი სესხი ყოფილა 45,494,400 მან., ხოლო სოფლის მამულებზე 8,583,800 მან. მოკლე ვადიანი სესხი გაცემულა ქალაქის მამულებზე—2,900,807 მან. 95 კ., სოფლისაზე—1,816,285 მან. სულ 4,717,092 მან. 95 კაპ. 1902 წლის 363,034 მან. 30 კ. მოგებიდან სათადარიგო თანხას მიემატება—35,570 მან. 83 კაპ., საზოგადო სასარგებლო თანხას—129,128 მან. 6 კაპ., სამეურნეო თანხას—36,892 მ. 73 კაპ., ექსტრა-ორდინალურ თანხას—18;446 მან. 86 კაპ.

1903 წლის 1-ლ იანვრისათვის ბანკს ძირითადი თანხა ჰქონდა 517,425 მან. 27 კაპ., სათადარიგო—580,736 მან. 39 კაპ., საზოგადო-სასარგებლო—029,128 მან. 6 კაპ., სამეურნეო—57,799 მან. 17 კაპ., ექსტრა-ორდინალური—18,596 მ. 86 კაპ.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. ძალიან ბევრს სცდილა ბ-ნი ვალ. გუნია, რომ შეეთვისებინა ოტელოს ხასიათი, ეტყობა, დიდი შრომა გაუწევია, მაგრამ მაინც ვერ დაუძლევია ის სიძნელე, რომელსაც წარმოადგენს ოტელოს როლი. ოტელო განსხვავებული და განსაკუთრებული ადამიანია, სულ სხვა ტომს და წრეს ეკუთვნის, მის სულიერ მდგომარეობის შეგნება ძნელია, ერთსა და იმავე დროს იგი ბავშვიცაა და თავდაუჭერელი მხეციც. ბ-ნი გუნია უფრო თანამედროვე ქმარს ჰგავდა, ვიდრე საშუალო საუკუნოების ნახევრად ველურს მავრს. ოტელოს არ სჩვევია ის სულიერი ცახცახი, რომელიც ახასიათებს ჩვენი დროის პირებს. იგი მარტივია, ერთფეროვანი და მეტად აშკარა. ყოველს შემთხვევაში, თუ ამ სიძნელეს მხედველობაში მივიღებთ, ზოგიერთი ადგილი პიესისა ბ-ნმა გუნიამ რიგიანად ჩაატარა. ბ-ნი გუნია რომ ყველა როლისათვის ასე მეცადინეობდეს და სცდილობდეს, იგი შესამჩნევად წარდგამდა ფეხს წინ. დამსწრე საზოგადოების უმრავლესობას, როგორც ეტყობოდა, მოეწონა ბ-ნი გუნია ოტელოს როლში, იგი რამდენჯერმე გამოიხმეს და მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვეს. იაგოს როლს ბ-ნი სვიმონიძე ასრულებდა. საკვირველია, რომ ეს მსახიობი სხვა, უფრო უბრალო როლში, ამდენ დაკვირვებას, ზომიერებას და უნარს არ იჩენს, რამდენიც იაგოს როლში გამოიჩინა. ამ საღამოთი მაინც ბ-ნმა სვიმონიძემ კარგად ჩაატარა იაგოს როლი. შურით, სიძულვილითა და სიბოროტით სავსე ბუნება იაგოსი ბ-ნმა სვიმონიძემ საკმაოდ ნათლად დაუხატა საზოგადოებას. არ შეგვიძლიან არ უსაყვედუროთ ამ მსახიობს შექსპირის პიესის საუცხოვო თარგმანის დამახინჯება. ხან აქ ხან იქ გამოურევდა ხოლმე პროვინციალურ კილოს და პროვინციალურს სიტყვას.

სუსტი იყო დეზდემონას როლში ქ-ნი ლეჟავა ყოველ იმის სიტყვას დ მოძრაობას რაღაც გაუბედაობა და შიში ახლდა. შეიძლება ამისი მიზეზი, სხვათა შორის, როლის უცოდინარობაც იყო. ამას გარდა ახალგაზრდა არტისტი ქალი დღემდე ვერ შეეჩვია სიტყვების გარკვევითა და მკაფიოდ გამოთქმას. ზოგჯერ წინადადებას ისე სხაპა-სხუპით და ლუღლუღით წაილაპარაკებს ხოლმე, რომ ვერც თავს გაუგებ და ვერც ბოლოს.

დანარჩენ მსახიობთა თამაშობას არა უჭირდა რა. გარეგნობით წარმოდგენა გვარიანად იყო მოწყობილი. ამ საღამოს პირველად ვნახეთ ახალი ტანისამოსი და დეკორაციები. საზოგადოება კარგა ბლომად დაესწრო.

—

როგორც გავიგეთ, 11 მაისს, კნ. ბ. ბარათაშვილის თაოსნობით ქართულ თეატრში გაიმართება წარმოდგენა ავადმყოფ მსახიობის ვლ. ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ქართულის თეატრის არტისტები.

—

როგორც „ნოვოსტი“-ს გაუგია, ცნობილ მომღერალს ნ.ნ. ფიგნერს ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს ტფილისის სახაზინო თეატრის ასაღებად მომავალ სეზონისთვის. ფიგნერს აზრადა აქვს თურმე მოიწვიოს ამ თეატრისთვის სამაგალითო საოპერო დასი.

—

„საარტისტო საზოგადოების“ თეატრი მომავალ სეზონისთვის აუღია ქ-ნ იავორსკისას. როგორც გვიგეთ, ქ-ნ იავორსკისას კონტრაქტისათვის უკვე მოუწერია ხელი.

წერილი ფოთიდან

(ვაჟთა პროგიმნაზიის საძირკვლის კურთხევა)

საქართველოს ეგზარხოსი ალექსი, 24 ამ თვეს, ნაშუადღევის პირველ საათზე გემით შემოვიდა ფოთის ნავთ-სადგურში, სადაც მას ქალაქის მოურავმა ნ. ნიკოლაძემ პურ-მარილი მიართვა ქალაქის მხრივ. პურ-მარილის მიღების შემდეგ ეგზარხოსი თავისი მხლებლებით დამის გასათევად გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზს ალექსანდრეს ეწვია. მეორე დღეს, 25 აპრილს, დილის ცხრა საათიდან ეგზარხოსი ქალაქის დათვალიერებას შეუდგა. ჯერ ინახულა ადგილობრივი საკათედრო ტაძარი, სადაც ორ მწკრივად ჩარაზმული პირველი სამრევლო სკოლის მოწაფენი დაუხვდნენ. ტაძარში შესვლის დროს სტუმარს დეკანოზმა თალაკვაძემ სიტყვით მიმართა. მცირე ჩამოლოცვის შემდეგ ეგზარხოსი გაემართა ადგილობრივ სკოლების დასათვალიერებლად. ამ დროს ის უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა სამრევლო სკოლების შეგირდებს. განსაკუთრებით მეგრელ ბავშვების გამოცდა აინტერესებდა. ეგზარხოსმა ინახულა აგრეთვე ქალების დედათა პროგიმნაზიის სკოლა და ვაჟების სამოქალაქო სასწავლებელი. ქალების ორ-კლასიან სკოლისა და პროგიმნაზიის უფროსთა საყურადღებოდ ეგზარხოსმა ჩასწერა იმათ წიგნში: „დედათა განათლების დროს საჭიროა მეტი ყურადღება პროფესიონალურ განათლებას მიექცეს; ამასთანავე საჭიროა ქალები მეურნეობასაც მიეჩვიონ; ამიტომ ტყუილად ნუ გააცდენთ იმოდენა მშვენიერ ადგილს, რომელიც თქვენ სკოლას ეზოთ აქვს, და სამეურნეო ცოდნის შესაძენად გამოიყენეთ.“ სკოლების დათვალიერების შემდეგ ეგზარხოსი მივიდა იმ მოედანზე, სადაც დილიდან დაწყებული ნაშუადღევის პირველ საათამდის აურაცხელი ხალხი ელოდა მას, იმიტომ, რომ ამ დღეს ფოთში პირველი ვაჟთა საშუალო სასწავლებლის საძირკველი უნდა ეკურთხებინა. ნაშუადღევის ორ საათზე გაათავდა პროგიმნაზიის საძირკვლის კურთხევა. ამ დროს აურაცხელი ხალხი, დიდი და პატარა, უფრო იმ ადგილს უახლოვდებოდა, სადაც ეგზარხოსი იდგა. კურთხევის გათავების შემდეგ საზოგადოების წარმომადგენლებმა სთხოვეს ეგზარხოსს სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის შესწავლა გაგრძელდესო. საზოგადოება შეეკითხა ეგზარხოსს, რამდენად მართალია ის ხმა, ვითომც სამრევლო სკოლებიდან ქართული ენა უნდა განიდევნოსო. ამაზე ეგზარხოსმა ალექსიმ ასე უპასუხა ხალხს: „მე პირადათ დავრწმუნდი, რომ სამეგრელოს ზოგიერთ სკოლებში ბავშვებმა ქართული სულ არ იციან, ამისათვის იმ სკოლებში, სადაც ასეთი მოვლენაა, სწავლება პირდაპირ რუსულად იქმნება შემოღებული, ხოლო სამეგრელოს იმ ადგილებში, სადაც სკოლებში ბავშვები ქართულად ლაპარაკობენ, ქართული ენის სწავლება ისევ დარჩებაო.“

პროგიმნაზიის შენობის საძირკვლის კურთხევის შემდეგ, ეგზარხოსი და სხვა ადგილობრივ

დაწესებულებათა წარმომადგენელნი ქალაქის თავმა მიიწვია სადილზე, სადაც განმეორებით ბ-მა ნ. ნიკოლაძემ კიდევ ჩამოაგდო ლაპარაკი დედა-ენის შესახებ. შემდეგ გაზარხოსი, საღამოს 11 საათზე, სახალხო მატარებლით სენაკში წავიდა დანარჩენ სამეგრელოს კუთხეების დასათვალიერებლად.

ი. იანქთელი.

წერილი ყვირილიდან

ამინდი.—სანოვაგის სიძვირე.—უსუფთაობა.—ხიდი.—საქალაქო სკოლის და თეატრის შენობანი.

გაზაფხული დასავლეთ საქართველოში გვიანდით დაიწყო. ამ შუა აპრილში რომ წვიმა არ მოსულიყო, შენი მტერი, სოფლელი ვერც ვერას მოხნავდა და ვერც დასთესდა. ახლა ყველგან გაცხარებული მუშაობაა და ამიტომაა, რომ დაბაში სანოვაგე არავის შემოაქვს და ყველაფერი ძლიერ ძვირობს. ყასბებმა, შეხედეს რა ამას, ხორცი ძლიერ გააძვირეს. გაძვირებას ვინ ჩივის, რომ შოულობდეს კაცი. როცა ჰნებავთ, მაშინ ჰკლავენ საქონელს და ჰყიდიან უნიხროთ თავიანთ ხურგილზე. ქუჩების უსწორ-მასწორობით, უსუფთაობით ყვირილა სხვა დაბებს არ ჩამოუვარდება. საკმარისია ერთის დღის წვიმა, რომ ქუჩებში ვერ გაიარო. ქუჩებისა და მოედნის წმენდას ახლავე უნდა შეუდგეთ, თორემ ამ გაზაფხულ-ზაფხულში სიბინძურისგან რამე სენი იჩენს თავს და მერე „ვაის" ძახილი გვიან-ღა იქნება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხანდახან ფეხის-ალაგებს იმ დროს ჰწმენდენ, როცა ხალხი მიდი-მოდის ქუჩებში. ამ დროს შეუძლებელია გავლა არა თუ ამ ქუჩებში, არამედ იმის მახლობელ ქუჩებშიაც.

1896 წლიდან მდ. ყვირილაზე ორი ხიდია. ერთი პირთაგან გაკეთებულს ხიდს მოაჯირი მოცილებული აქვს, ფიცრები არეული და ჩალეწილი და ახლა იმაზე სიარული შეუძლებელია, მაგრამ ხალხი მაინც მიდი-მოდის. როგორც ეტყობა, სანამ უბედურება არ მოხდება, მანამდი არ გააკეთებენ ხიდს. საქალაქო სკოლის შენობა შარშან გაზაფხულზე დაიწყეს და პირველ ხანებში ისე სისწრაფით მიდიოდა მუშაობა, რომ არავის ეგონა, თუ ამ გაზაფხულზე არ დასრულდებოდა, მაგრამ საძირკველს აცილდეს თუ არა, მიანებეს შენებას თავი და დღესაც არავინა ზრუნავს. საკვირველია, რამ შეაჩერა შენება, როცა ფული შეგროვილი ყოფილა! აგრეთვე შეჩერებულია თეატრის შენებაც, მაგრამ თეატრის შენების შეჩერებას საპატიო მიზეზი აქვს, სახელდობრ ის, რომ ერთი მხარე კედლისა შემოდგომაზე ჩამოიქცა და გამგეობა მოიჯარადრეს აშენებინებს ისევ პირობის ძალით, მხოლოდ მოიჯარადრე რას უყურებს, ალაჰმა უწყის!

საყულიელი.

დაბა-სოფლები

ხორხელი (კახეთი). დარწმუნებული ვარ, რომ ამ სოფლის სახელი ბევრ მკითხველს არ გაუგონია. ან როგორ გაიგებდა, რომ იგი არაფრითაა შესანიშნავი. მდებარეობს ალაზნის გამოღმა დაცემულ ადგილას. გუბე-ჭაობებიც მოიპოვება ამ სოფელში, რისთვისაც გათქმულია როგორც ციებ-ცხელებიანი ადგილი. ამას ხელს უწყობს სასმელი წყლის უქონლობა. სოფლის ხევზე ჩამოდის მღვრიე დუმბლა წყალი, რომელსაც სასმელად ხმარობენ. იქნება ამის მიზეზიცაა, რომ ციებ-ცხელება ასე ხშირია ადგილობრივ მცხოვრებთა შორის და თუ გარეშე მოვიდა ვინმე, მას ხომ მალე დაასხამს სნეულების ბეჭედს. სწორედ ამის მიზეზი იქნება, რომ მცხოვრებთა რიცხვი 85 კომლს არ აღემატება. საზოგადოდ ადგილი ძლიერ ნაყოფიერია და ჩინებული პური მოდის. ამ სოფლის პური ნაქებია და ყოველთვის მეტ ფასად იყიდება.

როგორც საერთოდ კახეთში, მცხოვრებთა უმთავრეს ცხოვრების წყაროს მევენახეობა შეადგენს. მაგრამ მამული რომ ხელს აძლევდეს მუშას, იმ პირობებში-და იქნება, როგორც დღეს? სრულებითაც არა. მაშინ წელში გამაგრდება და თვისი ოჯახის და შვილების კეთილდღეობის ზრუნვას შეუდგება. ეხლა მას არაფერი აკითხება მის მეტი, რომ არსებითი პური მოუპოვოს ოჯახს წლის სამყოფი. ამისათვის იგი ბეჯითად მუშაობს, თუმცა ნაყოფს ბევრჯელ სრულებით უსპობს სხვა-და-სხვა სტიქიონის ძალა და მათ შორის სეტყვაც.

ჯერ ხეირიანად არც-კი გამოზაფხულებულა, ისევ აპრილია და ამ სოფელმა უკვე იხილა სეტყვა. 18 აპრილს დილით გრგვინვა მოისმა გაღმა მხრიდამ,—ასე მიამბო ამ სოფლის მოხუცებულმა მუშამ ჩვენ მაშინვე შევსტყვეთ, რომ ასეთი ქუხილი სეტყვის მომასწავებელი იყო. მალე ეს ღრუბელი ჩვენსკენ წამოვიდა და ხორხელში ჩამოწვა, რომელსაც მოჰყვა მსხვილი წვიმა და შემდეგ სეტყვა. თუმცა სეტყვა ძლიერი არ იყო, მაგრამ ზარალი-კი მოიტანა. ეხლა ვენახს კვირტი ნამეტნავად ვაზისა მალადია და ამასთან ჩვილი, ასე რომ ხორხოშელაც-კი ზიანს მოუტანს. ამ დღეს მოსულმა სეტყვამ მესამედი თუ არა, მეოთხედი მაინც დაგვაკლო... კიდევ კარგი, თუ ამით მორჩა და მერე აღარ მოუბრუნდა.

დ—შვილი.

ხ. საყულია (იმერეთი). გაზაფხული აქეთკენ ძლიერის გვალვით დაიწყო. აპრილში მოსულ წვიმების შემდეგ შეუდგნენ გლეხნი ხვნა-თესვას; მაგრამ მაინც ბევრი ადგილი რჩება დაუხნავი. პურს ძლიერ ცუდი პირი უჩანს. კომბოსტო, რომელიც ბლომად უთესიათ, აპრილის წვიმისგან გამოკეთდა, თორემ ყველას ასახვნელი შექნებოდათ. აბრეშუმის თესლის დამზადებელი წელს აქ ცოტა იყო, თესლი ვერ იშოვნეს და ამიტომ ჭია ცოტას ჰყავს. ამას წინად აქაურ საზოგადოებას პროვიზორის თანაშემწე ლეჟავამ სთხოვა განაჩენი აფთიაქის გახსნაზე, მაგრამ საზოგადოებამ უარი უთხრა. ახლა ლეჟავას აფთიაქი სოფ. ტობანიერს გაუხსნია. დალოცვილებო, თუ კი სამიკიტნოების გახსნაზე აძლევენ ნებას ყველას და სოფელი სამიკიტნოებითაა მოფენილი, რაღა აფთიაქის გახსნა იუარეს, როცა იგი ძლიერ საჭირო იყო და არის?

ს—ელი.

წვრილი ამბები

შტუტგარდტის სამეფო სასტატისტიკო ბიუროს დირექტორმა ციდლერმა შეიმუშავა და გამოაქვეყნა ახალი ცნობები დედა-მიწაზე სხვა-და-სხვა სარწმუნოების მიმდევართა რიცხვის შესახებ. ამ ცნობებით, სულ მთელ დედა-მიწაზე 1.554.510.000 მცხოვრებია. ამათგან 534.930.000 ქრისტიანია, 10.860.000 ებრაელი, 175,280.000 მაჰმადიანი და 823.429.000 სხვა სარწმუნოებისა; 300 მილიონი კონფუცის რჯულისა, 214 მილიონი ბრამისა და 121 მილიონი ბუდდასი. ციდლერის გამოკვლევით, ყოველ ათას სულზე მოდის: ქრისტიანი—346, ებრაელი—7, მაჰმადიანი—114 და სხვა-და-სხვა სარწმუნოებისა—523 კაცი.

* *

შესანიშნავ პოლიტიკურ კურიოზს წარმოადგენს ანდორრის რესპუბლიკის არსებობა. ამ რესპუბლიკას, რომელიც 100 წელიწადზე მეტია რაც ცოცხლობს, უჭირავს სულ არა უმეტეს 35 ოთხკუთხი კილომეტრისა პირინეის მთების სამხრეთ ნაწილში. მცხოვრებთა რიცხვი ამ რესპუბლიკაში არ აღემატება 10 ათას კაცს. რესპუბლიკა იმყოფება საფრანგეთისა და რომის პაპის მფარველობის ქვეშ. რესპუბლიკის სატახტო ქალაქია ანდორრა; მთელი რესპუბლიკა დაყოფილია ხუთ პატარა თემად. ამ პაწია „სახელმწიფოს" ბუნება მეტად მდიდარია: აქვს მდიდარი ტყეები, მშვენიერი საძოვრები მთაში და ველად, ნოყიერი სახნავ-სათესი მიწა, რკინის მადნეულობა და სამკურნალო წყლები. მცხოვრებნი კატალონიის (ესპანიაშია) ჩამომავალნი არიან; მეტად მშრომელი, კეთილის გულისა და სტუმრის მოყვარე ხალხია. ანდორრაში სულ ათასი მცხოვრებია. მართვა-გამგეობის საქმე რესპუბლიკაში დავალებული აქვს მთავარ საბჭოს, რომელიც შესდგება 24 წევრისაგან; ამათ 4 წლის ვადით ირჩევენ მცხოვრებნი; ამომრჩევლებია ოთხ-ოთხი ოჯახი ყოველ თემიდან; საბჭოს წევრნი თავიანთ შორის ირჩევენ საბჭოს პრეზიდენტს და ეს არის უმთავრესი მოხელე რესპუბლიკისა. სამართლის საქმე ჩაბარებული აქვს 2 სასულიერო პირს, რომელნიც ყოველ წელს თვითონვე ნიშნავენ ერთ მოქალაქეს თანაშემწედ.

* *

საყასბო ძაღლების დასაკლავად. მიუნჰენში 23 თებერვალს ქალაქის საყასბოსთან უკურთხებიათ ახალი განყოფილება, სადაც ეხლა ძაღლებსა ჰკლავენ. დღეში ორთა შუა რიცხვით ორ ძაღლსა ჰკლავენ და ჰხორცს ჰყიდიან ქალაქში. როგორც ეტყობა მიუნჰენში ძაღლის ხორცის მუშტრებიც ყოფილან საყასბოზე ძაღლს ყელს არა სჭრიან, როგორც სხვა პირუტყვებს, არამედ მძიმე ჩაქუჩსა სცემენ თავში და ისე ჰკლავენ. ძაღლის ხორცს ჰყიდიან ის ყასბები, რომელნიც ცხენის ხორცით ვაჭრობენ. ბეითალი ათვალიერებს ძაღლს დაკვლამდე და დაკვლის შემდეგ. დღემდე ერთად-ერთი ძაღლი აღმოჩნდა ჭირიანი ამ ძაღლს ტუბერკულეზი ჰქონია.

* *

მამა 23 შვილისა. ასეთი ნაყოფიერი მამა საფრანგეთში სცხოვრობს. იგი უმდიდრესი მემამულეა, 6 მილიონ ჰექტარის პატრონი, ესპანელ ბურბონთა შთამომავალი, პარმის ჰერცოგი რობერტი. ეხლა ხან ამ ჰერცოგს ოცდა-მესამე შვილი გასჩენია. ჰერცოგი ორჯელ იყო ჯვარ-დაწერილი. პირველ ცოლისაგან (სიცილიის პრინცესსა) ჰყოლია 12 ბავშვი და მეორესაგან—11. ჰერცოგი ამ ჟამად 55 წლისაა, ხოლო იმისი მეუღლე, პორტუგალიის პრინცესსა,—41 წლისა. ცოცხალია ამ ჟამად ჰერცოგის ათი ქალი და რვა ვაჟია. კარგია, რომ ჰერცოგი დიდის შეძლების პატრონია, თორემ ამდენ ქალებს რა გაათხოვებდა!

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 25 აპრილს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,95
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,85
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,67½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98⅜ გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100 ¾ მყიდვ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა.	95⅜ „
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	485½ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	334½ „
5/o გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	297½ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა.	—
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5/o გირავნ. ფურც.	91 მყიდვ.
4½% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	199 გაყიდ.

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს; 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 1[illegible]); 3 სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 03 წ. (2 ს. [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენჰაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ლოგინი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუდიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ამიერ კავკასიის რკინის გზების
უფროსს,

სამსახურის მრავალ საქმეებით დატვირთულს, სრულიად არ შეუძლია ყოველ დღე მიიღოს მთხოვნელები, რომელნიც მოდიან ყოველ წუთს სამსახურის დროს და დაჟინებით თხოულობენ მიღებას, რადგან ჩამოსულები ვართო; ამიტომ რკინის გზების უფროსი სთხოვს ყველას, ვისაც მასთან საქმე აქვს და პირდაპირ მოლაპარაკება უნდა, მოვიდნენ ამისათვის დანიშნულ დღეებში,—სამშაბათობითა და პარასკევობით, ნაშუადღევის 1-ლ საათიდან 2-ს. მდე. (3—1)

იყიდება ყინული

სუდებნი ქუჩაზე, მაისურაძის სახლში, № 4, ღვინის სარდაფს „ოქროში". ღარიბ ავადმყოფებს ყინული უფასოდ მიეცემათ. იქვე იყიდება ნამდვილი **კახური ღვინო.**

ქ. ცამაკურიძე. (4—1)

იძლევა ქირით
სამ-ბალკონიანი
ოთხი ოთახი

ზევით სართულში, სამზარეულოთი, საკუჭნაოთი და სარეცხი ოთახით, აგრეთვე შუა სართულში იძლევა ქირით სამი ოთახი ყოველისავე მოწყობილობით და რკინის ბალკონით, პადეზდით ახლად შეკეთებული. პოლიციის მე-8 განყოფილება, არსენალის ქუჩა № 14. (5—4)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ **გამგეობა აქირავებს ბორჯომში** ახლად შეკეთებულ 2-სართულიან **სააგარაკო სახლ** თავისავე ავეჯეულობით; ეს სახლი ი. ს. აბესალომოვისეულია და ამ ჟამად ქალაქს ეკუთვნის; შედგება 5 ოთახისაგან ქვედა სართულში და 4-ოთახიდან ზედა სართულში, სამზარეულოებითა და სხვა საჭირო ოთახებით. პირობების შეტყობა შეიძლება გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ-დღე, უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. (ნ. 2—2)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არა ღებულობს. (0—38)

დაიბეჭდა და დაურიგდა გასასყიდად ყველა
წიგნის მაღაზიებს
ახალი წიგნი
„ჩვენს დედებს"
პედაგოგიური წერილები ალექ. ნათაძისა
ფასი ხუთი შაური.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა ალ. ივ. ნათაძეს. (უ. 0—12)

Дозв. ценз. Тифлисъ, 28 апрѣля, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)